მნათობი

ფასი 50,000 მ.

რედაქცია.
ბათომი, ასათიანის ქუჩა, № 26.
განცხადება მხოლოდ მეოთხე გვერდზე

კვირა, 22 აპრილი 1923 წ.

№ 3 ყოველ კვირეული სალიტერატურო გაზეთი. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვანთა სასახლე.

ხელოვანთა სასახლე ქართველ მწერლებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე აქვთ. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვანი პირველ მოქალაქის მანდატით აღჭურვა, ფაქიზ მზრუნველობის ქვეშ დააყენა, თითქმის პოლიტიკურად შეუვალი გაჰხადა. ამით აიხსნება ის გარემობა, რომ ჩვენი ხელოვნება თბილისში გამოჯანსაღდა, მრავალფეროვან ჟურნალ გაზეთების გვერდით სახელმწიფო გამომცემლობა უხვად ხელსა ჰშლის, რომ მწერლებს შეაძლებინოს მათი ნაწარმოების გამოცემა და კულტურული საქმიანობა.

მაგრამ რაც უმთავრესია, ეს ისევ სახასლის დათმობაა. ამ სასახლემ ჩვენს კულტურულ ისტორიაში უკვე თვალსაჩინო როლი ითამაშა. ალბად მომავალი ისტორიკოსი უფრო ღირსეულად შეაფასებს ამ დოკუმენტის მნიშვნელობას.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ სასახლეში მთელი წლის განმავლობაში ყოველ ხუთშაბათობით და კვირაობით იმართებოდა ლექციები ხელოვნების გარშემო. ხელოვანთა სასახლე ხელოვნების აკადემიათ იქცა, ისე რომ ჩვენი მწერლებიც მარტო ერთ ნიჭის ანაბარად აღარ ჩაკვდებიან, როგორც კვდებოდნენ წინად არა თუ უბრალო მომაკვდავნი, არამედ ბუბერაზობის ტიტულით შემოსილნიც: ილია, აკაკი, თვით უდიდესი ვაჟაც.

ჩვენს ხელოვნებს ვერ ვუსაყვედურებთ ზარმაცობას: ყველანი ერთგულად ირჯებიან. მაგრამ შორიდან მზირალ თვალს არ შეუძლიან ერთ გარემოებაზე არ მიუთითოს მათ:

წაკითხულ ლექციების ანგარიშს უბრალოდ თვალი რომ გადაავლოთ, მამინვე შენიშნავთ, რომ ლექტორები უმთავრესად დასავლეთ ევროპის მწერლებზე ირჯებოდნენ, იშვიათად ქართველ მწერლებსაც გაუღიმათ ბედმა, მაგრამ სიჭარბით ისევ დასავლეთისკენ იხრებოდა ლექტორთა ყურადღების ისარი.

ასევე დიდი დავა იყო გამართული ხელოვნების ძიზენესა და მიმდინარეობათა შესახებ.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: მიმართულებათა დუელი აკადემიებში არა სწყდება. იქ უმთავრესად დინჯი ობიექტივობაა საჭირო, **აკადემიური** ტონი. ესეც არ იყოს, საკითხი მხატვრულ ძემოქმედების შესახებ ყოველთვის სუბიექტივური გადაჭრაა იმისდა მიხედვით, თუ რა ტემპერამენტისა და მსოფლ-მხედველობისაა პიროვნება, ხოლო პოეზიისა და საზოგადოდ ხელოვნების შესახებ ესა თუ ის შეხედულობა დამოკიდებულია ობიექტიურ პირობებზე, თუ გნებავთ „დროს სულზე“; ხან „ესთეტიურ შემოქმედებას“ ეძლევა უპირატესობა, ხან პრაქტიკულს.

ხელოვნების ისტორია დღემდე იყო და, უეჭველია, კიდევ კარგა ხანს იქნება, მარადიულ ცვალებადობათ ხან „წმინდა ხელოვნების“ გასამარჯვებლად, ანუ როგორც ამბობენ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ხან „ხელოვნების ცხოვრებისთვის“. ეს გასაგებიცაა: ერი, რომელიც სწორწონაობით და ფუფუნებით სარგებლობს, ანუ ის კლასი, რომელიც დაწყნარებულია მიღწეულ მდგომარეობით, ყოველთვის უპირატესობას მისცემს ისეთს ხელოვნებას, რომელიც ეგუება პასიურ მომენტს, სილამაზის უძღერს გრძნობას, თრობას, ორგიას; ხოლო ერი, რომელიც ქაბუკია, იზრდება, ვაჟკაცობაში გადადის, ანუ კლასი, რომელიც მომავლისთვის იბრძვის,—საჭიროებს მომენტს აქტივობისას, ნებისყოფის მოქმედებას, ნებისყოფის ველურ აღტყინებას და დეზების ყღარუნს. მაშასადამე, ორთავე მიმართულებანი დროთა მეფობის ყმები ყოფილან და მათ ცვლებიდობას სდევენ უკან.

აი, ეს გარემოება ავიწყდებათ ჩვენს ახალგაზრდა ლექტორებს.

მაგრამ რასაც ხაზი უნდა გაესვას, ესაა თვით აღმოსავლეთის უგულებელყოფა! ხელოვნების სასახლემ ევროპის ყველა მწერლების სახელი მოისმინა, და დიდი აღმოსავლეთი კი მიავიწყდა, ეს ის აღმოსავლეთი, რომლის კარებიც ჰერკულესის სვეტებათ ავმართეთ საქართველოს ოკეანის ჯაგარზე.

ჩვენ უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე ერი, უნდა ვეუფფეფოდეთ აღმოსავლეთის შესწავლას. ჩვენ სუმერების მძევლებათ ვითვლებით. განვლილ სარბიელზე აღმოსავლეთის ნაირ ნაირი მეზობლის მიჯნა გადავლახეთ და მათი მდინარის ზვოთი შევსვით. მაშასადამე, არ გვეპატიება ხუთი შეეაქციოთ მათ, ვისი სისხლი ჩვენს ძარღვებში გადახალისებულა.

ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს ინდოეთი, თავის მაგიური ბინდბუნდით და ჯადოსანთა უცნაურ ქვეყნით, სადაც ადამიანის უნაზესი ფანტაზია მწერვალების მქედელად იქცა, უზარმაზარ ცხოველთა და უჩიზულთა შემმოქმედთ, რომლებთანაც აბოკალიპსის ჩვენებანიც კი უბრალო პაროდიებთ ჩაითვლება; უნდა ვთვრებოდეთ მისი მჩაქეფარე წყომტაცი ზღაპრებით და უნაზესი ჰანგებით, სიბრძნის შადრევანთა დაუსრულებელი ჩუხჩუხით და საიდუმლოებით აღსავსე თვალებით, სადაც თავ'მესაფარი ჰპოვა თვლემით ძოქანცულ ფანტასტიურ ძასტიკამ.

ჩვენთვის სანუკვარია ეგვიპტელთა ჰიმნებიც, რომლებიც გამოვტაცეთ რაზმესს ხეთასარის სარდლობით და ქალდეველთა და ბაბილონელთა რუმენაში და გადახალისებული სარეანგმოთ შეეთავაზეთ ქრისტეს ჯვაოს გასასრულად.

აღარს ვიტყვით არაბებზე, რომელთ პირვანდელძა ალმა პოეზიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქრისტიანიზმის საგალობელთა ბაბილონურ ტყვეობიდან გასანთავისუფლებლად, გახსაკუთრებით ეს ითქმის სარკინოზის ძეტოქე სპარსეთზე, რომლის აღმოსავლეთურ ფანტაზიის სხივები ჩვენი ხელოვნების სარბიელზე თითქმის ფოკუსად აიკრიბა.

თქმა არ უნდა, ამათი მივიწყება უდიდესი ხარვეზია ხელოვანთა სასახლისთვის. ჩვენი სურვილია, რომ იქ, სადაც რომენ როლანზე და დანტეებზე იქნება ლაპარაკი, ათასში ერთხელ გაიხსენონ ფირდუსი, ენვერი, სენაისი, ჯელალ რუმი, საადი, ჰაფიზი და ძრავალნი სხვანი, რომელთა სული დღესაც უხილავად ეუფლება ჩვენს მწერლობას.

ჩვენ გვწყურიან, რომ ეს დიდი სახელები ხელოვანთა სასახლისთვის უბრალო ნომენკლატურად კი არ დარჩენ, არამედ შესწავლილ იქნენ ძეგლებითურთ, დაიწეროს მოხოგრაფიები, ითარგმნოს ძათი ნაწარმოებნი, რომელთა გამოცემას, არა ვეეჭვობთ, ხალისიანად იკისრებს სახელმწიფო გამომცემლობა.

ლიტერატურა და ქართული საზოგადოება.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი ეჩვეოდა აღმოსავლეთს, აზიურ-სპარსულ თვლემას და ფარისეელობას, უპირინციპობას და ლაყლაყს: საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ გეკუნდინდენ ჯელალ-ედინები და ბაბ აბიზები; ჩვენ'ში შემოდიოდა მჩოლარე ლირუბრიეობა სპარსეთიდან და ეს ამდენდა თავისებურ გავლენას ჩვენს ლიტერატურასა და ესთეტიურ გემოვნებაზე. ჩვენი ნერვიულ-ფსიქიური ჩვეულებანი ჩალეკილია ძრუში ბალაგანობა აზიურ. სპარსული სულის და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოში, ქართულ ლიტერატურაში სერიოზულ ადგილებსა და ბაცდენს ადგილი არა აქვს. ქართულ საზოგადოებაში გასავალი არ აქვს ესთეტიურ-ფილოსოფიურ იდეებს იმიტომ, რომ წარსული ქართველი ერის არ იყო ისეთი, რომ ქართველს ერთად ერთი ნუგეში ქართველი მწერლისათვის დღევანდელ პიროობებში არის მთავრობის თანაგრძნობა და დახმარება, ვინაიდან მწერალს საზოგადოებასთან არა აქვს აროვანთარი პირდაპირი დამოკიდებულება—არც **სულიერი** და არც **მატერიალური**: ერის საკმაოდ მდიდარ ექიმს ძასს წინედ მიეწოდეს ერთი პოპულიარული ახალი წიგნი და თან უთხრეს—იყიდე ეს წიგნიო. ექიმმა უპასუხა: «მე კაცი, სხვა რამე მეგონაო». რა ეგონა ექიმს? პაციენტი ალბად ხუთი ლირაანი! ბა ქართველი ექიმი, ქართველი ინჟინერი, ქართველი მასწავლებელი და ლიტერატურა ხომ ისეთი კოტტასტური მოვლენეაა წუთისოფლად, როგორც ბოზბაში და მილოსელი ვენერა.

ჩვენი საზოგადოება ლიტერატურას ეძახის ყველაფერს, რაც იბეჭდება და ძახ ბარათოვის გამოცემას: გრიშა შვილის ლექსებისაგან ვერ აორჩევს. მწერალი ჩვენ'ში უსაქმოკაცად ითვლება და ლიტერატურა უსაქმოკაცის ხელობად. ასე იყო ორდელიანებსა და ბარათაშვილების დროს და ფეოდალურმა არისტოკრატიამ სხვათა მორის ეს ცუდი თვისებაც უანდერძა ქართველ ხალხს და ძის ი ცალ-ქეჩია იტელიგენციას. ჩვენ'ში დღეს სადაო არ არის, რომ ჩვენი იხტელიგენცია მოკლებულია ზრდილობას და ჯენტლმენობას; დიდ აზრს, ორიგინალურ თქმას, ცოდნას, ხიბს ქართულ ლიტერატურაში წინ ყ�დება ოოყლიძე თუ ჯაფარიძე სძერდიაკოვი, რომლისთვ'ს ქვეყანა სათქვაფავი გობია და ჭოოვია გასავ�ელეული საბიკოტმო.

ძალიანალია, საბჭოთა რკინის ხელის უგლებამ ეს თქლაფი ბერსოხალისტებისა, სძერდიაკოვების და გოგოლის თრითინა დოზჩინსკი—ბოზჩინსკების რიცხვი საქართველოში შეაძცია, მაგრამ ეჭ-ექ ეს პარაზიტები შეგვხდეიან ბაინც და ყოველ გულწრფელ განცდას, ყოველ რაიხდულ გეხიოსურ სულის გაშლილობას ააყოლებენ თავიანთი მიკარებით და საზიზღარი ქორებით; ამ პარაზიტებს არა სწამთ არ-ფერი დიდი და მშვენიერი: ისინი სულით და გულით იძირებიან თავიანთო ქვეგანგრძობების სარდ ფეფში და სხვათა სპეტაკ გრძნობებს ისე უზრდელად სვრიან, როგორც ტასკანის ბუზები მიქელ-ინჯელოს ქანდაკებებს.

R.

ვალერიან გუნია.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს ეტრადზე მრავალ სახელთა შორის, უკვდავება შემოსილთ, დადაფნილთ თუ დაუდადენავთა სახელებში უსათუოდ ვალერიან გუნიაც შეგეხდებათ.

მისი წელთა დაზიდებულება, 41 წელი საზოგადო მოღვაწეობასა, 41 წელი ქართული სცენის მძიმე ჯაპანის წევისა, 41 წელი ხელიდან კალმის გაუგდებლობისა თავის თავად ფენომენად ჰხდის ამ ადამიანს, რომელსაც ჭაბუკური ცეცხლი და ნებისყოფის ავტორიტეტობა ბევრად ძლიერია, ვიდრე რომელიმე ადრე მოხუცებულ ჭაბუკისა.

მსურდა მის მოღვაწეობის კალეიდესკოპში ჩამეხედნა, მაგრამ რომელი ერთი ვთქვა, რაზე შეეაჩერო თქვენი ყურადღება? ვთქვა რომ იგი ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანია—მეთქი? ან და ის, რომ ყოველთვის ახალგაზდათა ავანგარდს ხელძღვანელ ფენ-ბ-ბ-ბ

ლიანთ“. ალბად ამ ადგილიმა აფიქრებდა მოქ. კ. კაპანელს, რომ ოთარიანთ ქვრივმა ტირილი ვერ მოახერხა, მაგრამ ეგ არ არის მართალი, არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როდესაც რაიმე ძლიერი სიწყენი შეხვდება, ცრემლიც გაუშრება, ენაც დაებმის. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენამე ხნით, შემდეგ კი როდესაც გონს მოდის მის შეგნება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. ასე დამბართა ოთარიანთ ქვრივსაც: უსაზღვრო მწუხარებამ იგი გაოშვა, გაოშრო, მაგრამ მოსულიერების შემდეგ კი ტირილი ვერ შეიკავა. მოვიყვანოთ თვით ავტორის სიტყვები: „დაცალიერდა ოთახი... ახლა კი წაიშინა თავში ხელი, ოთარიანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულვა თავი.—ჩემი გიორგი ადარ არის არა!.. ღმუოდა ხმა დაბლა დედა: მე დავრჩი, მე და გიორგი კი აღარ არის, შვილო ჩემიხველ, მომიკვდი“ და სხვ. შემდეგ: „პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გულიევებულს გულს, ტირილი კიარა მარტო ქვითქვითით გოდება ღა ისმოდა...

მაშასადამე, საიდანა სჩანს, რომ ოთარიანთ ქვრივმა ტირილი ვერ მოახერხა? არსაიდან. ილია ჭავჭავაძე კარგი ფსიხოლოგი იყო და ამიტომაც დედის მწუხარებაც ფსიხოლოგიურად მადლიანი კალმის გასმით სწორად დაგვიხატა...

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როდესაც ოთარიანთ ქვრივის უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა, იგი წაიდა თავის შვილის საფლავზე და გულზე დააკვდა. ამრიგად ოთარიანთ ქვრივს „დედობის ინსტიქტის სისუსტეც არ ეტყობა...

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ახალი ქალიც ძველებსავით კვლავ მუშაობდა ხალხში სწავლა განათლების გავრცელების საქმეზე და დიდმა უმრავლესობამ ჩვენი მოღვაწეებმა წერაკითხვა ქალთაგან ისწავლეს. მაგალითად: ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა და სხვ.

ქართველი ხალხის გამრავლება XIX და XX საუკუნეში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ მიზეზები, რომლებიც უშლიდნ ხელს ქართველი ხალხის გამრავლებას. ეს მიზეზი იყო განუწყვეტელი ომები და არსებული სოციალურ-ეკონომიური პირობები. ამის გამოც შეთვრამეტე საუკუნეში ქართველთა რიცხვი ნახევარ მილიონს არ აღემატებოდა, (ამ რიცხვში არ შედის ბათომისა და სოხუმის ოლქები). მაგრამ სულ სხვანაირათ დატრიალდა საქმე. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში, ეს ხანა, როგორც თვით კაპანელიც აღნიშნავს, ქართველი ხალხისთვის «დასვენების ხანა იყო». ამ საუკუნეთა სივრცეზე ქართველი ხალხი გაძლიერდა ეკონომიურათ, შესწყდა წარამარა მისი სისხლის ღვრა ბრძოლის ველებზე, და ძირიანათ შეიცვალა მისი ცხოვრების სოციალური პირობები, ყოველივე ამის მოყვა ქართველი ხალხის ბუნებრივი დოვლათის ამოძრავება და თვით ქართველი ხალხის ზრდა ამ მოძრაობის ფერხულში: ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის ზრდაც ჩქარის ტემპით მიწყვეტა წინ, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ მშობიარობა ნორმალურის წესით სწარმოებდა.

მოვიყვანოთ სტატისტიკური ცნობები. 1897 წელს შობდა რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა პირველი საყოველთაო აღწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ამიერ კავკასიაში ქართველები იყვენ: 1. ქართველები—821.720 სული. 2. იმერლები—237.184 სული. 3. მეგრელები—209.615 სული. 4. სვანები—15.756 სული. სულ 1.352.524 სული.

ამ ცხრილში არ შედიან აფხაზები და ჭართველი მუსულმანები. ეს ცნობები ჩვენ ამოვკრიბეთ იუხანიანის წიგნიდან „Народности Кавказа“ და როგორც ყველა შეაჩნევს, იგი დამახინჯებულია, უფრო შორსაც წავალთ: სტატისტიკურ ბიუროს მიერ ზოგიერთი ელემენტები მაგალ. ქართველი მუსლიმანები და ჭართველი გრეგორიანები და სხვ. განგებ არ არიან შეტანილი ცხრილში და ესენი სხვა ეროვნების ხალხათ ითვლიან მონათლული.*) მიუხედავად ამისა, მაინც აშკარაა ის, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველმა ერთიორათ გამრავლებულა. თუ მეთვრამეტე საუკუნეში 600.000 იყო, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მათი რაოდენობა უდრიდა 1.352.524 სულს, 752.000 მეტი მომატებია.

1913 წლ. მთავრობის ოფიციალური ცნობებით, მუსლიმან ქართველებისა და აფხაზების გამოკლებით, ქართველები კავკასიაში იყო 1.542.509 სული*), აქაც უნდა ითქვას, რომ ქართველთა რიცხვი წინასწარ განზრახვით შემცირებულია, მეუხედავად ამისა, რაც არის იგიც აშკარად დაღადებს, რომ ქართველმა თექვსმეტი წლის განმავლობაში 189.000 მეტით გამრავლებულა.

უკანასკნელის 1915 წ-ლ ოფიციალურის ცნობით ქართველების რაოდენობა კავკასიაში, ხსენებულ ქართველთა ტომების გამოკლებით, უდრიდა 1.576.763 სულს. ასე, რომ ორი წლის განმავლობაში ქართველები გამრავლებულა 34.060 სულზე მეტით*)

*) Ишханиан—„Народности Кавказа“ გვ. 16.

*) ი. ფლინტი—„ეთნოლოგია და ფედერალიზმ“ გვ. 74—76.

*) გიორგი ფაღავა—„საქართველოს ბიუჯეტი“.

საინტერესოა ის, რომ სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ საუკუნეთა სიფრცეზე ევროპაში. ევროპის ოთხქმის ყველა სახელმწიფოებში მცხოვრებთა გამრავლების საქმე ძლიერ შეფერხდა, ზოგან, მაგ. საფრანგეთში მცხოვრებთა რაოდენობამ კიდეც იკლო, ამის მიზეზი იყო ახალ მშობიარეთა რიცხვის კლება, რომელიც გამოწვეულ იქმნა უმთავრესათ ეკონომიურ პირობების გამო. საგულისხმო ცნობები მოყავს ამის შესახებ ავგუსტ ბებელს თავის წიგნში—«დედაკაცი და სოციალიზმი». მისი ცნობებით 1881 წელს საფრანგეთში ახალშობილთა რაოდენობა უდრიდა—937.057 სულს, 1906 წელს—806.547 და 1907 წელს კი მხოლოდ 773.969 იყო. ასე, რომ ამ უკანასკნელ წელს 1881 წელთან შედარებით 163.000 სულით ნაკლები დაბადა. ასეთივე სურათს ვხედავთ: გერმანიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, იტალიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და სხვ., რასაც ამავე ბებელის სტატისტიკური ცნობები ნათლად ამტკიცებს*).

მართალია, ჩვენ ასეთი სახით დაბუშმავებული ცნობები არა გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, იგიც აშკარად ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხი ამ ხნის განმავლობაში ჩქარ-ჩქარ ტემპით იზრდებოდა. ამავე ცნობებიდან უფრო საინტერესო დასკვნის გამოტანა შეიძლება: ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ევროპის ყველა სახელმწიფოებში თითქმის შშობიარეთა რიცხვი ყოველწლიურათ იკლებდა, საქართველოში, პირიქით, იმატებდა ამ რიგად: მეცხრამეტე საუკუნეში, ვიდრე 1897 წლ. ყოველ წლიურათ დაბადებულთა რიცხვი დაახლოებით ერთი მეორეზე უდრიდა 7.520 სულს, 1897 წლ. ვიდრე 1913 წლ. თექვსმეტი წლის განმავლობაში 11.812 სულს და 1913 წელ.—1615 წლ. ორი წლის განმავლობაში ყოველწლიურათ დაბადებული ერთი მეორეზე 17.000 სული.

ახე რომ აღნიშნულ ხნის განმავლობაში ქართველი ქალები გამრავლების საქმეში თავის სიმაღლეზე იდგენ და რაიმე ბრალდების წაყენებენ მათ წინააღმდეგ სრულიად უმართებულოა უნდა ჩაითვალოს.

ქართველი ქალი და სიყვარული.

ახალ ქართველ ქალს გამოეფიტა თუ არა სიყვარულის გრძნობები, შეუძლია თუ არა მან გულში აინთოს ტრფიალების კოცონი? ამის შესახებ ჩვენი სიტყვა. კაზმული მწერლობა საკმაოდ დიდს მასალას იძლევა. თქვენ იქ ნახავთ, რომ ყველა მდგომარეობისა, და წოდების ქალი იყო და არის სიყვარულის გრძნობებით დაჯილდოებული, მათ აქვთ უნარი რომ სიყვარულის მიერ გამბულმა ბლართებმა ისინი თავ-დავიწყების მორევში შეაცუროს. აიღეთ ალ. ყაზბეგის გმირი ქალები: მზაღო, ჯაიალა (ეწუქა) ნუნუ, (მამის მკვლელი) მარი (განკიცხული), აიღეთ ეგნატე ნინოშვილის გმირი ქალები. აგრეთვე სხვა უფრო ახალგაზრდა მწერლები, ყველანი ერთხმათ ღაღადებენ, რომ ქართველი ქალები ამ უნარის სრულიადაც არ არიან მოკლებული, პირიქით, ისინი სიყვარულის გრძნობებს დიდად აფასებენ, და ხშირად მზათ არიან მის სამსხვერპლოზე თავი ზვარაკად მიიტანონ...

ახალი ქართველი ქალი და სექსუალობა.

სექსუალურობის სიძლიერე, ფორელის თქმით, სხვათა შორის დამოკიდებულია იმ ქვეყნის ბუნებაზე, სადაც ადამიანი სცხოვრობს: დიდი სითბო ადამინის სექსუალობას აძლიერებს. „ცხელ ქვეყნებში ძლიერ მალე აღწევს სქესობრივ სიმწიფეს და უფრო ემორჩილება სქესობრივ ექსცესებსო“—ამბობს ფორელი *) მეცნიერთა აზრათ ადამიანის სექსუალობა ზაფხულში უფრო ძლიერია, ვიდრე ზამთარში. ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაზე ჰაერის სითბოს გავლენა მეცნიერებაში უდავო ქმედობრივებათ არის აღიარებული და სწორედ ამის შედეგია ის, რომ ასეთ ქვეყნებში, სადაც ცივი ჰაერია, ადამიანი გვიან მოდის ბაკში და სადაც ცხელია უფრო ადრე საქართველოში ზამთერი ჰაერია, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ კუთხეში ცხელიც ამიტომაც ქართველ ქალებიც ადრე მოდიან ასაკში, სახელდობრ 14—15 წლებში. ასე რომ ქართველი ქალის სექსუალობის საკითხს მეცნიერულის თვალი საზრისით თუ გავსინჯავთ, უნდა დავასკვნათ რომ ქართველ ქალს სექსუალობა სრულიადაც არ აკლია და იგი ჩვეულებრივი ქალია ამ მხრივაც. მაგრამ თუ ქართველი ქალი ჯვარდინზე არა სდგას. თვითანაც და სხვასაც არ ეფიზიანდება სქესობრივი გრძნობები ეს არის შედეგი იმისა, რომ ჯერ ჩვენში საფსებით, მთელის თავის სიმძაფრით არ დამკვიდრებულა კაპიტალიზმი თავის ატრიბუტებით, ჯერ ჩვენში არ შემოკრეფილა პარიზის კაფე-შანტანების ძანერები სქესობრივობის გაღიზიანების ორფეროში.

ქართველ ქალს ჯერაც აქვს შერჩენილი „**შერჩევის**“ უნარი. ყოველი—გამვლელი—გამოვლელი მასში ვერ იწვევს აღტაცებას, ის ამ გრძნობებს მხოლოდ და მხოლოდ **მოწონებას** უქვემდებარებს და მხოლოდ ღა ეგ მოწონებული ხდებიან ჩვენი სიტყვა კაზმული მწერლობა და რასაც ხელს უწყობს თვით საქართველოს ბუნებრივი მდგომარეობაც...

მეცხრამეტე საუკუნის 60—70 წლებიდან იწყება ქართველ საზოგადოებრივ აზროვნების გამოღვიძება, რასაც მოყვა ქართული კულტურა-ცივილიზაციის ჩქარის ტემპით წინსვლა. მრავალი მამაკაცი გამოჩდა სამოღვაწეო ასპირეზზე სხვა და სხვა დარგში. მამაკაცთა ამ გამოღვიძებამ ქალებზეც იქონია გავლენა და სწორედ ზემოთ დასახელებულ ხანიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ქალებიც დაიწყეს თავი საერთო ძალს და ისინიც ამოუდგენ მამაკაცებს გვერდში ენერგიულად მუშაობდენ ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოთ. მართალია, ეგ ჯეგუფი ქალებისა ძლიერ შემოფარგლული იყო, შეიძლებოდა მათი თითზე ჩამოთვლაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურული ქართველი ქალის გამოფხიზლების ხანა და ეს გამოფხიზლებულნი კი ცდილობენ თავდან აიცილონონ ის ნაკლულოვანობანი, რომელნიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. სხვაფრივ მათ გერ-ს დავუყვეფდრით: იმ სახის ბრალდებების წამოყენება, როგორიც ეს მოქ. კ. კაპანელს უნებებია, პირდაპირ-ათ ჩაითვლება. შეიძლება მას პირდაპირ-სებით უნდა ბრალი ორგინალობა გამოიჩინოს. რა თქმა უნდა, კარგია ბრალი ორგინალობაც, მაგრამ მას საფუძველათ უნდა ედვას ეს შემარიტების გამოუყენებლობა და ამ უკანასკნელისთვის კი საჭიროა საბუთები: ყოველი პირუთვნელი მკვლევარი ცოცხალ საბუთებზე უნდა ამყარებდეს თავის ბრალ.

სერ. გერსამია.

*) Ишханиан—„Народности Кавказа“ გვ. 16.

*) ავგუსტ ბებელი—„დედაკაცი და სოციალიზმ“ გვ. 151—155.

*) Форел—„Половой вопрос“—გვ. 355 და სხვ.

*) შიო არაგვისპირელი—თხზულებანი წიგნი მესამე—გვ. 55—56 და სხვ.

ოვანეს თუმანიანს.

ხანჯლის მწვერვალზე აცმული გული
შენს ფერმკრთალს სახეს სჯედით ოგონებს.
ბედი, ლექსების მშით წახნაგული,
ითვლის გარდაცვლილ ქორონიკონებს.

ჭადარა—ძაღრის ფერფლით ნაფერი.
ტანი აურილი—ეთი ნაზი ჰაერი.
სიკვდილს დაესწარ, როგორც შაფერი,
რაცა სიცოცხლე ვერ მოგესწარა.

თვალებში ცრემლი დამეს გაათეს:
ვის ვანდა გრძნობა, ვის დაუგეშო!
ქვეყანას ცოდვილს და ნაჯალათეს
ვინ ანუგეშებს, ჩემო ნუგეშო!

წასულან! გაუფეთქა ჩვენი წარსული,
ჩვენი წარსული ჯერ არ გაქრება;
და ღმერთი, წარბებ-ჩამოჭარსული,
შენის დიმილით დაიშაქრება.

ვადაიხსნება იმ ქვეყნის კალთა,
შზე დაისრება, რაც ერთ თაველი,
და ხელში ლანგრით დაგხვდება კართან:
ჭიმირის, ფირდეს და რუსთაველი.

ი. გრიშაშვილი.

კოეტი, რომელსაც ზღვა არ უნახავს.

ვინ არის ჩვენი თვრი ყვავილეგბის უსაყვარლესი მეგობელ? ვინ ესაუბრება სიზმრებში ჩვენს მოტიტინე ბავშვებს ფაკეთილშობილეს აზრების შთასანერგად? ვინ დაჭკოთკოთებს მათ ყოველ წუთს და ჟამს? ვინაა რომ ასე ხალისიანად, სიბერეშიც გაუაციცებლი თვალყურს ადევნებს ბავშვების ყოველს მოძრაობას, სიცილს და ტკბილს, მათს დიდს ვაებას, თუ ფეხი სადმე წაჰკრა და პირქვე წაქცა, ან და თუ ფეტკარმა, ან კრაზანამ უკბინა ცელქობის დროს, ან და თუ ციგა გადეგბრუნდა? ვინ აგვიწერა ჩვენი ყვავილეთის დამატკბობელ ტერნელთა ნარ-ნარობა? ოჰ, ვინ არ იცის, ვინ, თუ კი ბავშვობა განუცდია, თუ კი ბავშვები ყოლია, მამა ყოფ ლა ...ნკო თეთრი მტრედებისა:

ბაბია შიო, შიო ბერიმელი!

ბაბია შიო ჩვენს ბავშვებს უკვე მოუხუცდათ, მაგრამ ...ცხლი სიყვარულისა გაორკეცებულია ამ მშვენიერ ბოხუცის ხელში, უფრო მეტის სიყვარულით დაუხლოებდა ბავშვებს, უფრო მეტს საკუთრებათ გარდაექცა ჩვენს თვრს ყვავილეთს!

თბილისის ბავშვებმა და ზოგიერთა სხვამ კარგა ხანია რაც თვრი გვინ-ბით დადგაფნეს იუბილეს დროს თეთრი მგოსანი მაგრამ... არც მაშინ და არც შემდეგ ბათომს მაზე ხმა არ ამოუღია!

საკვირველია თავმდაბალი და არა მყვირალა ადამიანის ბედი: იგი მეგდმ პატივის გარეშე რჩება ერთადერთელი სიტყვები უთხრეს აპბარაკუმიანმა (რ. კ. ამ. კაეკ. კომიტეტის თავმჯდომარე) რუსულად, მარქარიანმა (სომხეთის მთავრობის მხრივ) სომხურათ, საქართველოს სახ. განათლების კომესარიატის მხრივ მარია ორახელაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მხრივ, რომლის მაროვლობა ...ესწრო მთელი შემადგენლობით, გრიშაშვილმა და პაოლო ...იაშვილმა, სომხურ გაზეთ „აარტაკოჩ“-ინ მხრივ ს. ერზიკიანმა. ყველა ამათ დიდი სიმწუხარე გამოსთქვეს პოეტის სიკვდილის გამო, რადგან განსვენებული იყო დიდი ნიჭის პატრონი და ერთა სოლიდარობის მატარებელი.

„ჰაიარტანის“ დარბაზიდან ცხედარი გამოასვენეს პოეტებმა.

პროცესიის წინ მიჰქონდათ ბავშვებს გვირგვინები, რომელთა რიცხვი უდრიდა 25-ს. ამ გვირგვინებში, სხვათა შორის, იყო ხარკოვის სომეხ მწერალთა, ადერბეიჯანის სახ. განგ. კომისარიატის ხარკოვის დრამატიული საზოგადოების და სხ. მიერ გამოგზავნილი გვირგვინები.

ᲞᲠᲝᲖᲘᲙᲐ.

მწერალთა კავშირში.

ხუთშაბათს, აპრილის 13-ს, დასრულდა წლიური საზოგადო კრება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

კრებამ გასტანა სრულ ორ დღეს. პირველ დღეს მოსმენილ იქმნა მოკლე მიმოხილვა საქმის მიქმედების შესახებ და ანგარიშები. კრებამ ერთხმად დადასტურა ორივე.

მეორე დღეს,—განათლების კომისარიატის წინადადებით,—განხილულ იქმნა კავშირის წესდება, საიდანაც ამოიშალა ზოგიერთი მუხლი, რომელიც საპროდესიო ელფერი ჰქონდა. კავშირი დარჩა, როგორც კულტურული ორგანიზაცია და მისი წესდება წარდგენილ იქმნა დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

კრებამ დაესწრო ასამდე თბილისში მცხოვრები მწერალი. პროვინციიდან იყო დეკანეზი.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

საბჭოში არჩეულ იქმნა 13 კაცი.

კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, დავით ...ჩელი, ნ. შიუკაშვილი, ვ. რუხ ...ძე, არ. ...ანაშვილი, ობოლი მეშა, ...ტაბიძე, ...ნი ...ვიტი, ...ბაბალი, ...ეფარ...ძე, ხ. ფაშალიშვილი და მ. ბოკორი შვილი.

კანდიდატებად: კ. გამსახურდია, კ. ...ბაშიძე, დემნა შენგელია, და ხ. ...ვარდაშვილი.

სარევიზიო კომისიაში: ნინო ...ბაკაშიძე, არ. ...ბაბარიანი, ლადო ...სოფაძე და გ. მუმლაძე.

არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით.

საბჭოს პირველი კრება მოხდა ...ვირას, აპრილის 15-ს, დღის 11 საათზე.

საბჭომ აირჩია თავისი პრეზიდიუმი შემდეგ პირებისაგან:

კ. მაყაშვილი, ნ. შიუკაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლ. ...ბერეული, ვ. რუხაძე.

დაარსდა კოლეგიები: გამომცემლობის, ...ადამიანის მომზადების და საფინანსო.

გახდათ „ლიმონარი“ მორიგი ნომერი ნომერი (№ 33 გამოვა აპრილის 29-ს

კრებამ დადგინა პრეზიდიუმს იზრუნოს 7 მაისისათვის და ძოწოდებით მიმართოს ყველა მწერალს, რათა გამოგზავნონ ...ავანთი მასალა აპრილის დამლევამდე მწერალთა სასახლეში (სურგიეევის ქ. № 13, მწერალთა კავშირი 7 მაისისთვის გამართულ ტრადიციულ გაზეთს „პოეზიის დღე“-ს.

საბჭო კრების შემდეგ თელი შემადგენლობით დაესწრო ოვანეს თუმანიანის გამოსვენებას, სადაც საბჭოს სახელით გამოსათქვამი სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

ვასილ ბარნოვის ნაწარმოებნი. სახელმწიფო გამომცემლობა განყოფილებამ გამოსცა ახალი რომანი ვასილ ბარნოვისა „ამქრის მშვენება“. რომანის შინაარსი აღებულია ხელოსანთა ცხოვრებიდან.

კარგი იქნება გამოიცეს მცირეოდ რომანისტის დანარჩენი დაუბეჭდავი რომანები, როგორც: „შაგნოლია“, „თეთრი ...ვირვინი“, „კუბრის ლანდები“ და ტრილოგია გიორგი საკაძის ცხოვრებიდან რომელიც დაფიქტულია ჟურნალ-ებ ზე თეატრში და იქნება 14 ტომამდე; ვ. ბარნოვს დაწერილი აქვს ...ომა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ 4 ტომით.

ბელეტრისტ ია ეკალაძის-ციხაკაძის იუბილე. წელს სრულდება სრული 30 წელიწადი, რაც სამწერლო და ზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობს ცნობილი ბელეტრისტი ია ეკალაძე-ციხაკაძე. განზრახულია ...ეულის თვეებში მოაწყოს ფართო მასსტაბით მისი იუბილეე, როგორც ტფილისში ისე ...ოინციაში.

ია ეკალაძემ დასწერა ახალი რევოლიუციონური პიესა, სადაც გამოხატული ყავს ტანჯული მუშები მიხარაქიზმის დროს.

მანვე დამთავრა ...ილი რომანი ჩვენი ინტელიგენციის ...ოვებებიდან.

სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“. ერთდროული სამეცნიერო კრებული "ჩვენი მეცნიერება" ...ს გამომცემლობა აირჩევს ბეჭდოდეს გამოცემას იმავე სახელწოდებით. კრებული შეიცავს შემდეგ დარგებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ შემდეგი პირები:

1. პროფ. ზ. ნუცუბიძე ფილოლოგია და სახოგადოებრივი მეცნიერება.
2. პროფ. დ. ფაზნავა—ფსიქოლოგია და ბედგოგიკა.
3. პროფ. ან. რაზმაძე—სამეცნიერო დარგები.
4. პროფ. პეტრე მელიქიშვილი—ქიმია, ფიზიკა, მინერალოგია და გეოლოგია.
5. პროფ. ივ. ბერიტაშვილი—ბიოლოგიური სავნები.
6. პროფ. გ. ახვლედიანი—ენათმეცნიერება.
7. პროფ. კ. კეკელიძე—მწერლობა.
8. დოცენტი გრ. ნათაძე—ისტორია.
9. პროფ. სიმონ ყოგიტიძე— სამკურნალო მეცნიერება.

კრებულს დართული ექნება სამეცნიერო ქრონიკა და სამეცნიერო ტერმინოლოგია. გამომცემლობას ხელმძღვანელობს ან. ზილაკაძე. მორიგი ნომერი გამოვა მაისის დამლევს. მასალები მიიღება ტფ. 1 ტეხნიკუმის შენობაში, გუნების ქ. № 46. პროფესორ გიორგი ახვლედიანის სახელზე.

ჟურნალ „ილიონი“. გამოვიდა ჟურ. „ილიონის № 4 შემდეგი შინარსით: ი. გრიშაშვილი: მე და ევროპა, ტ. გრანელი: სიჩუმე და სინარტეე, მარიკა: შენი ქორწილი, ი. მოსაშვილი: დოდში სწორებია, ...ბ. ...ეფლაძე: La derniere, ი. ...ანელი: ფარული მწუხარება, კ. ...ამსახურდია: გარეი მორადი, ლ. ...ბიაძე: სამი შეხვედრა, უიარადო: მოაზრეულე „ტრილობიტი“, ვ. ...ორგაძე: შალვა ...ელი, ...ბ. ...ბაზიძე: „გარსი მარადი“, ი. ...ტაბაშვილი: ...ბაშვილ, ...ი. ...ფონ-...ენდელ...ი: სულთა ...ბიგრაცია, პროფ. გრ. ...ფარეული ...ერთდა, ...ბიბლიოგრაფია. ფასი 30 კაპ.

მაკბეტი ქართულ სცენაზე. შაბათს 14 აპრილს რუსთაველის თეატრში დადგა კირეკლად ქართულ სცენაზე შექსპირის ტრაგედია „მაკბეტი“. მაკბეტის როლი ...ესარტლა მსახიობ ალ. იმედაშვილმა ლედი მაკბეტისა ცოცა ამირაჯიბიმა. პიესა დაიდგა ...ის. ...ორ...ლის რეჟ...ორობით.]

შემოწირულობანი.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო სტამბამცემელო ფონდის შესაქმნელად შემდეგი შემოწირულობანი:

1) ...ანმრთელობის კომისარ ...ეფიციძისგან—1 ...ილ. ...ან., 2) ...ანმრ. ...ბ. ...ოადგილე ...ილ. ...ბორ...ბელ...ან—1 ...ილ. ...ან., 3) ...ინა ...ვარიანის ...ბოლოისგან 1 ...ილ. ...ან., 4) ...ილია ...ბერეულ ...ისგან 3 ...ილ. ...ან.

სულ 6 ...ილ. ...ან.

რედაქცია ...ერმსულ ...ადლობას ...ცხადნიან ...ეშეწირველთ.

სურს წარმოადგინოს ცრემლებით დამძიმარი ნიობე, გავშურის აგი და ...ხოს ან. ...ქაძეა—ანდრონაკაშვილისა ...ბერისის როლში იხილის ...ანდაკის წინ თავის უმშვენიერესი ...ვავილების ...ვნებ...ი: „აი, ...ბერ...ომეეა ...ენთვის ეს ...ვავილები“. ეს სიტყვები ...ენს სმენას ...ოდამ ...ერ...ება როგორც ნისლოვან ...ში ...ოწკრიალე ...ბილ...ვ ...ერ...ლის ...ბრის ...ბ.

ფარაოს ...ეტოქვ ...ეტ...ვ საუკეთესო ...ეტ...ვ ...ენ...ებოდა ...ბ. ...ურ...ლის ხელში, რომ ...ოტა ...ეიდვ ...ვ...ბ...ენა. ...ეტ...ს სიტ...ვას ...ოვ...ელ...ოვის ...ი...ი ...ონა ...ქ...ს. ...ი...ვ ...ონდა ...ა...ოს ...ენ...ბ ...ასეთი სიტ...ვა; „...აგრამ ...ო ...ოვ...ნ...ომ“... ...ან ...ა „...ავ...ენ...ბ ...ომ“... ...ავ...ნ...ოვ...ვ ...ატ...ა ...ა...ვ...ენ...ა, ...ა...ვ...ომ ...ა...ენ...ა ...ა...ენ...ა ...ა...ენ...ა

ივდითი.

მზე. ხურაკლება. ბაბილონი. ცხელი საბანი.
სარგონ. სარგადონ. ქაშურები. სარდანპალი.
მეფე ოლიმეფრე დღეს ზეიმობს, რაშ გახსნილ-
ია ძირს ვარდება თავი ტანით გადანთალი.
დღეს ვინ გადათვლის ისტორიის გმირთა საბელებს.
ანთაკალიტერ ±მიგარდნით ეხიდავთ ივდითის.
მეფე ოლიმეფრე ველურ წვითა გრძნობას ახვლებს.
იწყება ომი. ბაბილონი. სცემს გრძელ-სუფრებს.
და აქლემების ქარავნები გზებს ბასკერეთან.
ეგვიპტეს ულლურს ომის ზმები მეტად აკბრეკენ,
და ჰეტერები მწეზარების ჰიმნს დამღერიან.
დაირა შეფე, და სცილდება დიდ იარუსებს,
ქალაქის კარებს გადარაზავს რკინის ხელები.
მარდუკის შიკვი ახალ ომის ქნის პაპირუსებს.
ტიგროსზე უცდის მოკვშირეს მიდიელები.

ანია ზფეკავს, ელოდება დაწყვეტილ ომებს,
ულლურ ქვეყნების გადათელვას მეფე ასირებს.
უდაბნოებში ბალოოუშვებს ეგვიპტე ლომებს.
მიდია ცდილობს რომ დაეცეს ნინოს ნაპირებს.
მოახდა ტკური. ნინევიას სხვა მოლანდებით,
ზმელთა ზეა-ზღვის აგორებულ ცისფერ ტალღებით.
იქსოს—ზეთებით, ელურებით დიდ ჰელაზეებით.
დაინგრა ციხე, და ქალაქი ეიწრო თაღებით.
ქვეყნივრებას ალბად ერთი ახსოვს ლეგენდა.
ითედელთა ხალხის სისხლი რომ იღვრებოდა.
სარდანპალის სასაზლისგან ლომები ღრენდა.
ხალეანასარი ზარსაბადში ტრონგან ყვდებოდა.

მეფე ოლიმეფრე—ზღვა მხედრობა ბრძანებას ელის.
ურანატანი სდგას მეზობარე რისხვის გრიგალში.
„ასტეზეთ ომი“—ზოისმინეთ ხმა ბრძანებელის.
გადასწვით ცეცხლით—ეს ქალაქი გახვიეთ ალში.
ივრუსალიმი დაინგრიეთ. დალეწეთ ბეკნი.
მე მიყვარს, სისხლი, ეკნესა, ელეტა, ლილა და რბევა.
მტაკალ ზოსების ჩემს საზეფოს მოართვეთ ძღვენი.
ღმერთებს არ ძალუძთ—ჩემი სიტყვის, ნების დაძლევა.
მიწა. ნაკარი. დანგრეული მოსჩანს კედლები.
ქვეყნი მწეზარებს სოლოზონის ტაძრის სვეტების.
სმენიდა ხატები ჩემს საზეფოს მოართვეთ ძღვენი.
და მათი ბედი მდგომარეობს განამეტები.
წმინდა ადგილი გადათელეს აქციეს ბოგათ.
ეშმაკელები ზოაშორეს ქალაქს გოდგებით
ბაბილონელ ხალხის ურდოები გარეკეს ჯოგათ.
ირეგმია ერს სტირდა ცვდა გოდებით.
უკანასკნელი დიდ ომის მოსჩანს ალიმა.
აწივლდა თესლი ეპრაული ზურის სხვები.
და ირის ყვნეს ზეზრალობა, ან და წყალობა.
მე ვარ ივდითი! ერის მხსნელი,—ერის ხაკები.
განმარკეკი ქეზიეის ჩემი წმინდა ტანისამოსები.
ალარ ვარ ქვრივი, მომიმზადეთ ფარჩეულები.
დაწვა მსურს ენების, ოს! ვასისხლდა ჩემი სულები
ეზდა დაეთუბგნო ტანჯვის წლები ათეულები.
ო, ისრაელნო, მე ღმერთი ვარ ენების და თრობის
სამკაულებით მომრთეთ ტანი, თეთრი მეზლები.
ჩემ შინველ ტანით თქვენ ვიდგებათ დღე ახალ შობის.
მე ერთი წამით მძლე ინოფრეს შეეეუდლები.

მე მენატრება სარეცელი ველურ სინაზის.
ოქსირო. ბადახშ ძოწეული ო! ყვეალფერი
სითეთრით ვერ მდრის მწვეარველები თოვლის, სინას მთის.
მიეკარს სატვერის აბასრული ფოლადის წვერი.
წყვდიად დაცემულ უდაბნოში სჩანს თეთრი ჩრდილი.
ეეეემ-ერთ გზის სვლას სირაქლემა ამტვერიანებს.
და მისჩანს შარა ვით გაკრილი ყელი კორინთის.
თეალ-უწვდენელის გადარება ასვედიანებს.
დარა მანძილი გასაფრენი მხოლოდ ორი მთის.
